ოქმი №4

ქ.ტყიბული 30.09.2021 წელი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის შესახებ

თავმჯდომარე-ნატალია კობახიძე

მდივანი-ინგა ფარცხალაძე

ესწრებოდნენ: ნატალია კობახიძე, ინგა ფარცხალაძე, ეკატერინე ტურაბელიძე, ინგა ობოლაძე, მარინა რობაქიძე, მაია ცქიფურიშვილი, ზაზა გოჩელაშვილი, ფატიმა რობაქიძე, იზოლდა ნემსაძე, ზაზა ყვავაძე, ირმა ბრეგაძე, ირაკლი აბესაძე, თემურ ქელბაქიანი, მაია კეზევაძე, ქეთევან გოცირიძე, ნატო ცირეკიძე.

დღის წესრიგი:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის პირველი და მეორე კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა- თვალის პათოლოგიასა და სქოლიოზზე.

მოისმინეს:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ნატალია კობახიძემ, საბჭოს წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხი: ტყიბულის მუნიციპალიტეტის დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა- თვალის პათოლოგიასა და სქოლიოზზე. აღნიშნა, რომ პრობლემა, რომელიც მდგომარეობს მოზარდებში (ხერხემლის და თვალის პათოლოგიები), მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც საკითხის მიმართ არასათანადო ინფორმირებულობა, ასევე ოჯახების დაბალი შემოსავალი, რის გამოც მშობლებს უჭირთ სათანადო ყურადღების მიქცევა. პროგრამულ ბიუჯეტში, გენდერული თანასწორობის განვითარების ხელშეწყობის მუხლში, განსაზღვრული თანხიდან (5 000 ლარი), შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევა და უფასო სამედიცინო აქციის ჩატარება.

აზრი გამოთქვეს:

მარინა რობაქიძემ და ზაზა გოჩელაშვილმა, რომლებმაც მოიწონეს ინიციატივა.

დაადგინეს:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, ქალაქის პირველი კლასის და სოფლების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებს ექიმი/სპეციალისტების (ოფთალმოლოგი და ორთოპედი) მიერ ჩაუტარდება კვლევები. მოწვეული იქნებიან ბავშვთა ოფთალმოლოგი, ნათია დავითულიანი და ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი, ასოცირებული პროფესორი, მარიამ მიქიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: /ნატალია კობახიძე/

სხდომის მდივანი: /ინგა ფარცხალაძე/